

## დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

26 ნოემბერი, 2014

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა  
NDI საქართველოს  
პროგრამის ოფიცერი  
+995577 779639, [dchachua@ndi.org](mailto:dchachua@ndi.org)

### NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობას მეტი გენდერული თანასწორობა სურს. გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერს სავადებულო გენდერული კვოტის შემოღებას

**თბილისი** – დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის კვლევა წარმოადგინა, რომელიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას შეეხება. კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობას არსებულთან შედარებით მეტი გენდერული თანასწორობის ხილვა სურს და მხარს უჭერს ქალების მეტ ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოსახლეობის 64 პროცენტი აცხადებს, რომ ამჟამად საქართველოში გენდერული თანასწორობა არ არსებობს; ეს მაჩვენებელი ახალგაზრდებში 68 პროცენტს წარმოადგენს.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 55 პროცენტისთვის, 150 წევრიან პარლამენტში, 17 ქალი პარლამენტის წევრი ძალიან ცოტაა. მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ ქალი პარლამენტის წევრების რიცხვის გაზრდა დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის განვითარებაზე.

სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღების იდეამ საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერა ჰპოვა: გამოკითხულთა 68 პროცენტი აცხადებს, რომ მხარს უჭერს პარლამენტის მიერ, საარჩევნო კანონმდებლობაში, გენდერული კვოტის შემოღებას. ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია იმ რესპონდენტებს შორის, ვინც აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში და შეადგენს 72 პროცენტს. მოსახლეობის 70 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში ქალების რაოდენობა სულ მცირე 30 პროცენტი უნდა იყოს.

*“კვლევის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა არ არსებობს და სურს, რომ სიტუაცია შეიცვალოს. მოსახლეობას, ქალებსაც და კაცებსაც, უნდა იხილოს მეტი ქალი არჩევით თანამდებობებზე.”* - ამბობს NDI საქართველოს ოფისის დირექტორი ლორა თორნტონი - *“კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა, რომ არჩეულ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდოს. იმედი გვაქვს, რომ ეს კვლევა ერთგვარი დამხმარე საშუალება იქნება იმ პოლიტიკოსებისთვის, პარტიებისთვის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამ ცვლილებებისთვის იბრძვიან. პოლიტიკურად რთული იქნება ამ შედეგების იგნორირება და ამომრჩეველთა სურვილის უგულვებელყოფა იხილონ პროგრესი და მეტი თანასწორობა.”*

კვლევა ამა წლის 10–30 ოქტომბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,885 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. კვლევაში საშუალო ცდომილების

ზღვარი	არის	+/-	1.6%.
--------	------	-----	-------

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

### – დასასრული –

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: [www.ndi.org](http://www.ndi.org)

**CRRC-საქართველო** არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე : [www.crrc.ge](http://www.crrc.ge)